



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 215
29/01/2018

ქალაქი ბათუმი

215-05-4-201801291424



სააქციო საზოგადოება „აჭარისწყლის ალიანსი“-ს საწესდებო კაპიტალში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების შენატანის შესახებ

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის გაფორმებისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 ოქტომბრის №81 განკარგულების, სს „აჭარისწყლის ალიანსი“-ს წესდების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 24 იანვრის №186-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად ვბრძანებ:

1. სააქციო საზოგადოება „აჭარისწყლის ალიანსი“-ს საწესდებო კაპიტალში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შენატანი, ფინანსური აქტივები განისაზღვროს 28600 (ოცდარვაათას ექვსასი) ლარის ოდენობით.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები შენატანის გადარიცხვის უზრუნველსაყოფად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა